საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანებაN0-09/309

ქ. ბათუმი 07 აგვისტო, 2014 წ.

ბსუ–ს სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტ დავით ლომთათიძისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შეჩერებული აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის 2014 წლის 02 ივლისის №2823 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამოიცა ,,ბსუ–ს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტ დავით ლომთათიძის მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 10 ივლისის №01-09/282 ბრძანება. აღნიშნული ბრძანება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების მიზნით გაეგზავნა დაინტერესებულ პირს, ასევე გამოქვეყნდა ბსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ვებ გვერდზე.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“-ს მე-3 მუხლის მე–5 პუნქტის თანახმად, კანონმდებლობითა და ბსუ-ს წესდებით დადგენილი წესით დასაშვებია ბსუ-სა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან განთავისუფლება - სტუდენტის სტატუსის შეჩერება. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: აკადემიური შვებულება, ავადმყოფობა, უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, ფინანსური დავალიანება ან ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კანონშესაბამისია ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 10 ივლისის №01-09/282 ბრძანების საფუძველზე შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი დავით ლომთათიძეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი

პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, 66–ე მუხლის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 07 ივნისის №01-08/21 ბრძანების, სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის 2014 წლის 02 ივლისის №2823 მოხსენებითი ბარათისა და ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 10 აპრილის №01-09/282 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის, ეკონომიკა და მართვის სპეციალობაზე ჩარიცხულ სტუდენტ დავით ლომთათიძეს(პ/№ , რომლესაც 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შეჩერებული აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

2. ბრძანება ეცნობოს დაინტერესებულ პირს. ამ მიზნით ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ–ს სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფაზე, რომლის უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის მდივანს, ასევე განთავსდეს ბსუ–ს ვებ–გვერდზე.

3. ბრძანების ბსუ–ს ვებ–გვერდზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ–ს საინფორმაციო–ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №30);

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორის მოადგილე, ასოც. პროფესორი **ირაკლი ბარამიძე**